

26 ნოემბრის მოვლენების პირველადი შეფასება

წინარე კონტექსტი

ბოლო პერიოდის მასშტაბური საპროტესტო აქციები ქვეყანაში მას შემდეგ დაიწყო, რაც პარლამენტმა, 14 ნოემბერს, 101 ხმით სამის წინააღმდეგ, მხარი არ დაუჭირა კონსტიტუციური რეფორმის ინიცირებულ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საარჩევნო სისტემის ფუნდამენტურ ცვლილებას.¹

კანჭისყრის შედეგების გამო, საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა მმართველი პარტიის რამდენიმე დეპუტატმა,² მათმა ნაწილმა კი უარი თქვა დეპუტატის მანდატზე.³ საპროტესტო აქციები, დედაქალაქსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო. ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია დაიგეგმა 17 ნოემბერს. აქციის ძირითადი მოთხოვნა პროპორციული წესით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მთავრობის გადადგომა და საარჩევნო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება იყო.⁴

სამოქალაქო აქტივისტების და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა 17 ნოემბერს, ღამით პარლამენტის შენობის შესასვლელების პიკეტირება დაიწყეს. სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, 17 ნოემბერის აქციაზე, დაახლოებით 5 500 მოქალაქე იმყოფებოდა, თუმცა ორგანიზატორთა თქმით, მონაწილეთა რაოდენობა, გაცილებით მეტი იყო.⁵ პარლამენტის შენობის პოკეტირებას გამოეხმაურა სახალხო დამცველიც, რომელმაც უშუალოდ ფაქტის კანონთან წინააღმდეგობას, თუმცა არსებულ კონტექსტში ქმედების გამართლებას და ამ პროცესში კონკრეტული პირების პასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი.⁶

18 ნოემბერს აქცია პარლამენტის პიკეტირების ფონზე, თუმცა მშვიდობიან ფორმატში გაგრძელდა. ამავდროულად, პარლამენტში 15:00 საათზე ჩაინიშნა ბიუროს სხდომა. აქციის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების რაზმი დაახლოებით 5 საათისთვის გამოჩნდა. მანამდე, საპატრულო პოლიციის

¹ <https://bit.ly/2OmmrA0>

² <https://bit.ly/2DfO9Yz>

³ <https://1tv.ge/news/deputatma-sofo-qacaravam-saparlameto-mandati-datova/>

⁴ <https://www.radiotavisupleba.ge/a/30276158.html>

⁵ <https://bit.ly/2KUGsv4>

⁶ <https://www.radiotavisupleba.ge/a/30276853.html>

წარმომადგენლებმა გააფრთხილეს აქციის ორგანიზატორები და მისცეს გარკვეული ვადა, ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისგან საკანონმდებლო ორგანოს გათავისუფლების მიზნით.⁷

მოგვიანებით, სპეცდანიშნულების რაზმმა ცოცხალი ჯაჭვის გარღვევა და პარლამენტის შესასვლელისკენ სვლა დაიწყო. საბოლოოდ, წყლის ჭავლის გამოყენებით, სპეცრაზმმა შეძლო პარლამენტის სამივე შესასვლელის დაკავება.⁸ აქციის მონაწილეებმა საპროტესტო გამოსვლების გაგრძელება მხოლოდ ტერიტორიიდან სპეცრაზმის გასვლის შემდეგ შეძლეს. აქციის მიმდინარეობისას, პოლიციამ ტერიტორიას გაარიდა რამდენიმე ადამიანი და დააკავა 37 დემონსტრანტი.

მნიშვნელოვანი დარღვევით წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკავებული პირების საქმეთა განხილვა.⁹ საქმეთა განხილვის პროცესმა ერთდროულად გამოკვეთა როგორც კანონმდებლობის, ასევე უშუალოდ პროცესუალური ხარვეზი, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მთლიანი პროცესის თავსებადობის საკითხი.¹⁰

26 ნოემბრის დილის ქრონოლოგია - ზოგადი მიმოხილვა

პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების და მშვიდობიან ფორმატში მიმდინარე პროტესტის დაშლის მიუხედავად, აქციის მონაწილეებმა მასშტაბური აქციების გაგრძელება და შენობების პიკეტირება 25-26 ნოემბრისთვის კვლავ დააანონსეს.¹¹

25 ნოემბერს აქცია საღამოს დაიწყო. აქციის დაწყებამდე, შსს-მ აქციის მონაწილეებს ღამის განმავლობაში გასათხოვად საჭირო შეშით დატვირთული 4 სატვირთო მანქანა და კასრები ჩამოართვა. პოლიციამ დემონსტრანტებს ადგილზე რამდენიმე ნაჭერი შეშის შეტანის უფლებაც არ მისცა. გამთენიისას, პარლამენტთან სპეცდანიშნულების რაზმები გამოჩნდნენ. დილის 5 საათზე სპეცრაზმმა აქცია წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა და პიკეტირებული საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელები გაათავისუფლა.¹²

სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, პოლიციელებმა პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი აქციის ორგანიზატორები/მონაწილეები გააფრთხილეს და მისცეს გონივრული ვადა, რომ ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისგან გაეთავისუფლებინათ საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელები და გზის სავალი ნაწილი. უწყების განმარტებით, აქციის მონაწილეებმა მითითებულ ვადაში არ გაათავისუფლეს საკანონმდებლო ორგანოს ბლოკირებული შესასვლელები. შესაბამისად, აქცია გასცდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კანონით დადგენილ ფარგლებს.¹³

⁷ <https://bit.ly/2KRuH8Q>

⁸ <https://bit.ly/2XRSzi6>

⁹ <https://emc.org.ge/ka/products/dakavebuli-demonstrantebis-sasamartlo-protsesebi-mdzime-darghvevebis-fonze-chatarda>

¹⁰ <https://emc.org.ge/ka/products/dakavebuli-demonstrantebis-sasamartlo-protsesebi-mdzime-darghvevebis-fonze-chatarda>

¹¹ <https://bit.ly/2QNHe0W>

¹² <https://batumelebi.netgazeti.ge/news/241789/>

¹³ <https://bit.ly/2XTtXfX>

მედიაში გავრცელებული ფოტო და ვიდეო-მასალის არსებული კადრების მიხედვით, სპეცრაზმმა 5 საათზე პარლამენტის უკანა შესასვლელიდან დაიწყო ჩამოსვლა, მათ დაიკავეს გზის მთელი სავალი ნაწილი და ტროტუარები.¹⁴

არსებული ინფორმაციით, მომიტინგეები პარლამენტის ორივე (მარცხენა და მარჯვენა) მხარეს იყვნენ მობილიზებულები, შენობის შესასვლელების ბლოკირების მიზნით. საპოლიციო უწყებებს ჰქონდათ სტრატეგია, რომ მომიტინგეები ორივე ქუჩიდან რუსთაველის გამზირზე ჩაეყვანათ. ამ მიზნით, სპეცრაზმმა მთელი გზის სავალ ნაწილზე (ტროტუარების ჩათვლით) ორგანიზებული მოძრაობით დაიწყო მსვლელობა მომიტინგეებისკენ.

შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილის ქუჩაზე მათი მოქმედება უფრო მეტად იყო ორგანიზებული. კერძოდ, სპეცრაზმი ფარების გამოყენებით აიძულებდა მომიტინგეებს ადგილის დატოვებას და რუსთაველის გამზირზე ჩასვლას. როგორც კადრებიდან ირკვევა, ამ პროცესში არ გამოყენებულა წყლის ჭავლი ან რაიმე სხვა ტექნიკური საშუალება და არც ხელჩართული დაპირისპირება ყოფილა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავმა უწყებამ, ამ მოვლენების დროს, უკეთ დაიცვა საპოლიციო ძალის გამოყენებისთვის განსაზღვრული ფორმალური წესები - ძალის გამოყენებამდე გაფრთხილების საკანონმდებლო ვალდებულება, რაც ამ დრომდე არსებულ პრაქტიკას მეტნაკლებად აუმჯობესებს.

განსხვავებულად განვითარდა მოვლენები ჭიჭინაძის ქუჩაზე, პარლამენტის მარჯვენა შესასვლელთან. ამ შემთხვევაში, მომიტინგეებსა და სპეცრაზმელებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რა დროსაც, პოლიციამ, სავარაუდოდ, პირველად გამოიყენა წყლის ჭავლი.¹⁵ როგორც კადრებიდან ირკვევა, მომიტინგეებს უკვე გათავისუფლებული ჰქონდათ გზის სავალი ნაწილი და ისინი უშუალოდ პარლამენტის შესასვლელებთან, ტროტუარზე, იმყოფებოდნენ.¹⁶ თუმცა, მალევე პოლიციამ მომიტინგეები აიძულა გადაადგილებულიყვნენ რუსთაველის გამზირზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, პარლამენტთან აქციის დაშლისას 28 პირი დააკავეს,¹⁷ 4 პირი კი დაშავდა და მათი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.¹⁸

განვითარებული მოვლენების მოკლე სამართლებრივი შეფასება

შენობების ბლოკირება

“შეკრებების და მანისფესტაციების შესახებ” კანონის თანახმად, „აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება.“¹⁹ ამდენად, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, პიკეტირება კანონიერ ქცევად

¹⁴ <https://bit.ly/2OjqUmR>

¹⁵ <http://www.myvideo.ge/tv/mtavari/2019-11-26/05:18:27>

¹⁶ <http://www.myvideo.ge/tv/mtavari/2019-11-26/05:13:19>.

¹⁷ <https://www.interpressnews.ge/ka/article/574493-shss-s-inpormaciit-parlamenttan-akciis-dashlisas-28-piri-daakaves/>

¹⁸ <https://www.interpressnews.ge/ka/article/574538-ekimebis-inpormaciit-parlamentis-shenobastan-mimdinare-akciaze-dashavebul-pirs-tvalis-dakargvis-saprtxe-ar-emukreba/>

¹⁹ “შეკრებების და მანისფესტაციების შესახებ” კანონი, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

არ მიიჩნევა. თუმცა, “შეკრებების და მანისფესტაციების შესახებ” კანონი, შეკრების დაშლის (მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტის) საფუძვლებში, შენობის პიკეტირებას/ბლოკირებას არ მოიაზრებს.²⁰

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების თანახმად, შენობის ბლოკირება, თუ ის არაძალადობრივი ფორმებით ხორციელდება, მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში ექცევა.²¹ არაძალადობრივი ფორმებით შენობა-ნაგებობების პიკეტირება/დაკავება თუნდაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ექცევა კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში და განიხილება, როგორც მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია.²² ეს მომენტი მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, თუ რა სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს აქციის დაშლას. ამავე დროს, აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც შეიზღუდა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება.

როგორც ცნობილია, მომიტინგეებს ჰქონდათ პარლამენტის შენობის შესასვლელების პიკეტირების აშკარად გაცხადებული მიზანი. მათი ყოფნა შესაბამის ლოკაციებზეც სწორედ ამ მიზნის სისრულეში მოყვანას ემსახურებოდა. ამასთან, ცნობილია, რომ მომიტინგეების აღჭურვილობაში არ არსებობდა ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომელიც მათ ქცევას ძალადობრივ ბუნებას შესძენდა. გავრცელებული კადრებიდან ირკვევა, რომ ბლოკირების მომენტში მომიტინგეების ქცევა იყო ცალსახად მშვიდობიანი და, ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ექცეოდა მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეების მიერ პარლამენტის შესასვლელების ბლოკირებას არ ჰქონდა ძალადობრივი ხასიათი, საპირისპიროდ არსებობს პარლამენტის მუშაობის ლეგიტიმური ინტერესი. ამ გაგებით, სამართალდამცავ უწყებებს ევალებათ, უზრუნველყონ საკანონმდებლო ორგანოს ნორმალური ფუნქციონირება. ვენეციის კომისიამ 2011 წელს “შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით მომზადებულ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ განსაზღვრულ სიტუაციებში, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოს შენობასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით.²³ ასევე აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო აძლევს სახელმწიფოს ფართო დისკრეციას შეკრების დაშლის კანონიერი მიზნების არსებობა/არარსებობის შესაფასებლად, ის ასევე აღიარებს პრეზუმფციას, რომ მშვიდობიანი შეკრება დამშვებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს (*Baczkowski v. Poland*). შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გასაანალიზებელია რამდენად ამართლებს დაშლის მომენტში არსებული კონკრეტული ვითარება და კონტექსტი, ბლოკირების მოხსნის მიზნით სამართალდამცავი უწყების მოქმედებებს.

²⁰ იქვე, მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი.

²¹ NEIL JARMAN AND MICHAEL HAMILTON, *Protecting Peaceful Protest: The OSCE/ODIHR and Freedom of Peaceful Assembly*, p. 208

²² *Cisse v. France*, §§ 39-40; *Tuskia and Others v. Georgia*, § 73; *Annenkov and Others v. Russia*, § 123, ხელმისაწვდომია: https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_11_ENG.pdf, p. 8

²³ [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2011\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2011)029-e) para.22 “Blanket restrictions however have been maintained 20 meters around the entrance to the Prosecutor’s office, the police (all police stations), penitentiaries, temporary detention facilities and law-enforcement bodies; railways, airports and ports. The Commission had previously expressed its view that the need to decide on a case-by-case basis ought to have been provided also in relation to these buildings, as it would allow the Georgian authorities to ensure a balance between the need for these institutions to function and be safe, which is an important element of public order and safety, and the individual right to freedom of assembly”

შენობის გამართული ფუნქციონირების ინტერესი და მის უზრუნველსაყოფად სპეციალური ძალების გამოყენება, გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ინტერესის განხორციელებას (პარლამენტის ფუნქციონირებას) აშკარა საფრთხე ექმნება და ამოწურულია ყველა შესაძლო, ნაკლებად რეპრესიული ზომა. ვენეციის კომისის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს ბალანსი ერთი მხრივ, ინსტიტუციების ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისა და მეორე მხრივ, შეკრების თავისუფლების დაცვას შორის.²⁴

ამდენად, 26 ნოემბრის კონტექსტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება:

პირველი - პარლამენტის შესასვლელების გათავისუფლება დაიწყო დილის 5 საათზე, სულ მცირე 4-5 საათით ადრე, სანამ საკანონმდებლო ორგანო ჩვეულებრივ იწყებს ფუნქციონირებას;

მეორე - პარლამენტს აქვს რამდენიმე შესასვლელი. შენობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად არ არის აუცილებელი, რომ ყველა შესასვლელი იყოს თავისუფალი. ამისთვის ერთ-ერთის გათავისუფლებაც საკმარისია.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ვიწროდ, მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივად კანონიერად აღიარებულ ქმედებებს არ მოიცავს. ამავე პრინციპს იზიარებს ევროპული სასამართლოც და განმარტავს, რომ აღნიშნული უფლება შეზღუდულად არ უნდა იქნას გაგებული.²⁵ აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო არ ცნობს მიდგომას შეკრების ცნების მკაცრად (ვიწროდ) ფორმულირების ან მისი მშვიდობიანობის განსასაზღვრისას კრიტერიუმების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთების შესახებ.²⁶ შეკრება, კონვენციის მიზნებისათვის, ავტონომიური ცნებაა და მოიაზრებს სხვადასხვა აქტივობებს, მიუხედავად იმისა იცნობს თუ არა ასეთს ეროვნული კანონმდებლობა.²⁷ შესაბამისად, შეკრების შინაარსი სცდება ვიწრო ლეგალისტურ ჩარჩოს და არამალადობრივი შინაარსის მქონე აქტივობების ფართო სპექტრს უკავშირდება, მათ შორის - შენობების მშვიდობიან პიკეტირებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბლოკირების მოხსნის ლეგიტიმური საფუძველი თავისთავად „ბლოკირების“ ფაქტი არ შეიძლება იყოს, რადგან შენობის არამალადობრივი ბლოკირება, მიუხედავად იმისა, რომ შიდა კანონმდებლობით კანონიერ ქცევად არ ითვლება, თავსდება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ ფართო პოლიტიკურ-სამართლებრივ შინაარსში.

მნიშვნელოვანია, რომ ბლოკირების აღკვეთის ლეგიტიმურობისთვის დადგინდეს მიმართება არა თავად ბლოკირების ფაქტთან, არამედ შენობის ფუნქციონირების აღდგენის ინტერესთან. როგორც ითქვა, (1): სპეცრაზმის გამოყენების მომენტში, არ შეიძლება არსებულიყო პარლამენტის ფუნქციონირების აღდგენის ლეგიტიმური ინტერესი, რადგან იმ მომენტში, საკანონმდებლო ორგანო

²⁴ [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2011\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2011)029-e) para.22 “Blanket restrictions however have been maintained 20 meters around the entrance to the Prosecutor’s office, the police (all police stations), penitentiaries, temporary detention facilities and law-enforcement bodies; railways, airports and ports. The Commission had previously expressed its view that the need to decide on a case-by-case basis ought to have been provided also in relation to these buildings, as it would allow the Georgian authorities to ensure a balance between the need for these institutions to function and be safe, which is an important element of public order and safety, and the individual right to freedom of assembly).”

²⁵ Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], § 91; Taranenko v. Russia, § 65.

²⁶ Navalnyy v. Russia [GC], § 98.

²⁷ Navalnyy v. Russia [GC], § 106.

საერთოდ არ ახორციელებს საქმიანობას; (2) თუნდაც დადგინდეს, რომ პარლამენტის საქმიანობის განახლებამდე რამდენიმე საათით ადრე, საჭირო იყო შესასვლელი სივრცის გათავისუფლება, არ არსებობდა ყველა შესასვლელიდან დემონსტრანტების გაყვანის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყებების მოქმედება ორ გარემოებას ამჟღავნებს: პირველი, სპეცრაზმის ქმედებები აჩენდა იმის განცდას, რომ მათი მოქმედებები ძალის დემონსტრირების სურვილით იყო განპირობებული, და მეორე, მათ მიერ ტერიტორიის „გასუფთავების“ მიზანი ეფუძნებოდა მარტოოდენ ბლოკირების ფაქტს, და არა შენობის ფუნქციონირების აღდგენის ინტერესს.

ერთმნიშვნელოვანია, სამართალდამცავების მიზანი ეს უკანასკნელი რომ ყოფილიყო, ისინი ეცდებოდნენ მხოლოდ ერთი რომელიმე შესასვლელის გათავისუფლებას, რათა დეპუტატებსა და პარლამენტის სხვა თანამშრომლებს სამუშაო საათების დაწყებისას შეძლებოდათ შენობაში შესვლა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რთულია სამართალდამცავი უწყებების ქმედება ლეგიტიმურად ჩაითვალოს პარლამენტის შენობის შესასვლელების ბლოკირების მოხსნის მოტივით, შესაბამისი დროისა და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

აქციის ატრიბუტიკის გამოყენება და ხელშეშლა

როგორც აღინიშნა, 25-26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტთან აქციის მიმდინარეობისას, გათბობის მიზნით, რამდენიმე ორგანიზატორმა და მონაწილემ სცადა ტერიტორიაზე შეშისა და კასრების შეტანა.²⁸ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა კი, აქციის მონაწილეებს ტერიტორიაზე შეშისა და კასრების შეტანის/სარგებლობის შესაძლებლობა არ მისცეს.²⁹ საყურადღებოა, რომ ჩამორთმეული ნივთები არ ექცევა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეკრება/მანიფესტაციის დროს აკრძალულ საგნებს შორის. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ აქციის მონაწილისთვის კონკრეტული საგნის თან ქონის აკრძალვა არ უნდა დაუკავშირდეს მხოლოდ ნივთის ხასიათს და არ უნდა განიმარტოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომიტინგის ქმედებისაგან მოწყვეტით.³⁰

გადაწყვეტილების თანახმად, იმისთვის, რომ პირებს აკრძალვით შეკრების დროს გარკვეული საგნების თან ქონა, აუცილებელია, არსებობდეს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რეალური საფრთხე.³¹ სასამართლოს შეფასებით, ნებისმიერი ქმედება, რომელიც ამ პრინციპის დარღვევით იქნება განხორციელებული, კანონსაწინააღმდეგოა.³² აქციის მონაწილეებს, არსებული ამინდის პირობებში, გათბობის მიზნით სურდათ შესაბამის ტერიტორიაზე ჩამორთმეული საგნების შეტანა. წინარე შეკრებებიც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ არ არსებობდა რეალური საფრთხე,

²⁸ <https://bit.ly/2Dkdz7z>

²⁹ <https://bit.ly/2KY4rJQ>

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ პარ. 13.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ პარ. 14.

³² იქვე.

მონაწილეებს შემა სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად გამოეყენებინათ.³³ შესაბამისად, სამართალდამცავების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის შეშისა და კასრების შეტანის/სარგებლობის ხელშეშლა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. მეტიც, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება არამხოლოდ დაიცვას შეკრების უფლება გაუმართლებელი ჩარევისაგან, არამედ უზრუნველყოს უფლების რეალიზებისთვის საჭირო გარემო.³⁴

გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა

კანონმდებლობით, აკრძალულია გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა იმ შემთხვევაში, თუ ხალხის რაოდენობა ამის აშკარა აუცილებლობას არ აჩვენებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ შეკრების უფლებით სარგებლობა ყოველთვის მოიაზრებს იმ გარემოებას, რომ მომიტინგეთა ქმედებამ შესაძლებელია შეაფერხოს სხვა პირთა ჯგუფების მიერ აღნიშნული საჯარო სივრცის გამოყენება იმავე რეჟიმში, როგორც ნორმალურ მდგომარეობაში იქნებოდა შესაძლებელი (მაგ. გადაადგილების შეზღუდვა, საცობი, ა.შ).³⁵ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომელიც ადგენს მოთხოვნას სახელმწიფოს მიმართ იყოს ტოლერანტული მშვიდობიანი დემონსტრაციების მიმართ, თუ დემონსტრანტების მიერ გამოწვეული დისკომფორტი არ აღემატება იმ ფარგლებს, რაც ბუნებრივად თან სდევს შეკრების უფლების განხორციელებას. ტოლერანტულობის ფარგლები უნდა დადგინდეს თითოეულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, როგორცაა შეკრება/მანიფესტაციის ხანგრძლივობა და გამოწვეული დისკომფორტის ხარისხი. ასეთი ინტენსივობის არარსებობის შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის მნიშვნელოვანი გარემოებები შეკრების უფლების შესაზღუდად, შეკრება/მანიფესტაციაში ჩარევა გამართლებულად ვერ ჩაითვლება.³⁶

26 ნოემბერს გამთენიისას, გავრცელებული ინფორმაციებიდან ირკვევა, რომ სამართალდამცავმა უწყებებმა მოუწოდეს დემონსტრანტებს გაეთავისუფლებინათ გზის სავალი ნაწილი,³⁷ რაც, როგორც გავრცელებული ინფორმაციებიდან და კადრებიდანაც ჩანს, შესრულდა.³⁸ არსებული კადრების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სამართალდამცავების გაცხადებული მიზანი, რომ მათ უნდა აღედგინათ მოძრაობა გზის სავალ ნაწილზე, სპეცრაზმის გამოყენების მომენტში, უკვე ვეღარ იქნებოდა კანონით დაცული ინტერესი, რადგან მომიტინგეებმა საავტომობილო მონაკვეთი გაანთავისუფლეს და ტროტუარებზე გადაინაცვლეს (პარლამენტის შენობის შესასვლელებთან). აქედან გამომდინარე, გზის სავალი ნაწილის გათავისუფლების არგუმენტი, ამ შემთხვევაში არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს.

სპეციალური საშუალებების გამოყენება

³³ რადიოთავისუფლების ფოტოგალერია „მეორე დამე რუსთაველზე“ [ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30274350.html>, წვდომის თარიღი 26.11.2019]

³⁴ Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], § 158; Djavit An v. Turkey, § 57.

³⁵ Oya Ataman v. Turkey, Application No. 74552/01, judgment of 5 December 2006, paragraph 38.

³⁶ Fáber v. Hungary, § 47; Navalnyy v. Russia [GC], § 129-130; Kudrevičius and Others, § 155; Malofeyeva, §§ 136-37; Frumkin v. Russia, § 97

³⁷ <https://www.interpressnews.ge/ka/article/574470-mozraoba-sirxviliis-aktivistebi-axdadeben-rom-policiis-carmomadgenelma-mat-gzis-savali-nacilis-gasatavisupleblad-30-cuti-misca>

³⁸ <https://www.interpressnews.ge/ka/article/574472-akciis-monacileebi-daemorchiInnen-samartaldamevelebis-motxovnas-da-rustavelis-gamzirze-chichinazisa-da-chitazis-kuchebze-gzis-savali-nacili-gaatavisuples>

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, აღიარებულია, რომ თუნდაც ძალადობრივი შეკრება/მანიფესტაციის, განსაკუთრებით კი მშვიდობიანი დემონსტრაციის, დაშლისას ძალის გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი საშუალება და ის მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან აცილებული. თუ აღნიშნულის თავიდან აცილება შეუძლებელია, ძალა გამოყენებულ უნდა იქნეს მინიმალური ხარისხით.³⁹

ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი სპეციალური საშუალებების გამოყენებისას პოლიციის მხრიდან მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ უნდა იყოს ზიანის შემცირების ვალდებულება. შეკრება/მანიფესტაციის დროს ხალხის მასის კონტროლის ღონისძიებებმა, როგორცაა წყლის ჭავლის გამოყენება, დროთა განმავლობაში განიცადა ცვლილებები, რის შედეგადაც მათი გამოყენება ბევრად მეტ საფრთხეს უქმნის პირთა ჯანმრთელობას, ვიდრე ეს ძველი ტექნიკური აღჭურვილობით ხდებოდა.⁴⁰ სახელმწიფომ, კერძოდ კი სამართალდამცავმა ორგანომ იმ ფართო ზიანიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს წყლის ჭავლის (როგორც სხვა არალეტალური, მაგრამ ძლიერი სპეციალური საშუალებების გამოყენებას, მაგ. გაზის ტყვიები) გამოყენებას, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას სხვადასხვა პროცედურულ საკითხს უნდა მიაქციოს ყურადღება. კერძოდ, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ბრძანების გაცემაზე უფლებამოსილი პირებს შორის ყველაზე მაღალი თანამდებობის მქონე პირის მიერ, ხოლო პოლიციელები დატრენინგებული უნდა იყვნენ მათ სწორად გამოყენებაზე, რათა ზიანი მაქსიმალურად იქნეს შემცირებული. გამოყენების წესი მკაცრად უნდა იყოს კანონმდებლობის დონზე გაწერილი და გამოყენების შემდეგ რეპორტირების ვალდებულება უნდა არსებობდეს (რამდენჯერ მოხდა ჭავლის გამოტყორცვანა და დასაბუთება მისი გამოყენებისა).⁴¹

ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, წყლის ჭავლის გამოყენება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციას არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, ქმედითი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს ყოველ ინდივიდუალურ ძალადობრივ ქმედებაზე. მხოლოდ მსგავს ვითარებაში შეიძლება იყოს გამართლებული, მასობრივად სპეციალური საშუალებების გამოყენება.⁴² მოცემულ შემთხვევაში, შეკრება/მანიფესტაციას არათუ არ მიუღია ძალადობრივი ხასიათი, არამედ ინდივიდუალურ დონეზეც არ იკვეთებოდა მომიტინგეთა მხრიდან იმ მასშტაბის ძალადობრივი ქმედებები, რომელზეც საჭირო გახდებოდა მასობრივი საშუალებების გამოყენება. შესაბამისად, ინდივიდუალური წინააღმდეგობის ცალკეული შემთხვევების მიმართ, პოლიციის მიერ მასობრივი საშუალებების გამოყენება ვერ ჩაითვლება გამართლებულად.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, წყლის ჭავლის გამოყენებისას, კონკრეტულ შემთხვევაში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებაა. ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ ეს საშუალება არ იქნეს გამოყენებული მაშინ, როცა ტემპერატურა 0 გრადუსს ქვემოთაა.⁴³ აღსანიშნავია

³⁹ UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Principle 13, available at: <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/UseOfForceAndFirearms.aspx>

⁴⁰ GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), OSCE/ODIHR, Venice Commission, Strasbourg / Warsaw, 8 July 2019, p.82;

⁴¹ GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), OSCE/ODIHR, Venice Commission, Strasbourg / Warsaw, 8 July 2019, p.71;

⁴² GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), OSCE/ODIHR, Venice Commission, Strasbourg / Warsaw, 8 July 2019, P. 72-73

⁴³ GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), OSCE/ODIHR, Venice Commission, Strasbourg / Warsaw, 8 July 2019, p.71;

ის, რომ 26 ნოემბერს დილის 04:00-05:00 პერიოდში ოფიციალური მონაცემებით ჰაერის ტემპერატურა -1 გრადუსი იყო,⁴⁴ რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტთან.

შესაბამისად, პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალების გამოყენების დროს, არსებული კონსტექსტის და შეკრების ხასიათის თუ ბუნებრივი გარემოებების გათვალისწინებით, წყლის ჭავლის გამოყენება არ შეიძლება პროპორციულ და აუცილებელ მექანიზმად ჩაითვალოს. განხილული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართალდამცავმა უწყებამ არ გასწია საკმარისი ძალისხმევა, რომ პარლამენტის შენობის მარჯვენა მხრიდან მომიტინგეების გაყვანაც ისეთივე მშვიდობიანი გზით მომხდარიყო, როგორც ეს შენობის მარცხენა მხრიდან მოხდა. სპეცრაზმის მიმართ მომიტინგეების მხრიდან გამოყენებული წინააღმდეგობა (ჭიჭინამის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე) არ ყოფილა იმ ხარისხის, რომელიც გაამართლებდა პოლიციის მიერ, აღნიშნულ წინააღმდეგობაზე საპასუხოდ ჭავლის გამოყენებას. ამ კონტექსტში, სამართალდამცავების მოქმედება უფრო მეტად ორგანიზებული, მშვიდი და ძალის გამოყენებისგან მაქსიმალური თავშეკავებული უნდა ყოფილიყო.

შეჯამება

26 ნოემბრის დილას განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური კრიზისების მოგვარების სტრატეგიებისა და მშვიდობაზე ორიენტირებული პოლიტიკების არარსებობა. კონსტიტუციური ცვლილებების ჩავარდნის შემდეგ, ხელისუფლებამ არ გამოიჩინა პოლიტიკური პროცესების ნორმალიზებისა და კომპრომისების ძიების ნება. სანაცვლოდ, ხისტი და ვიწროპარტიული ინტერესებით ნაკარნახევი პოლიტიკური გადაწყვეტილებები პროცესების ესკალაციის წინაპირობა გახდა. მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ საჯაროდ გაჟღერებული დაპირებისა და საზოგადოებაში ფართოდ მხარდაჭერილი მოთხოვნების უგულვებელყოფის გათვალისწინებით, განვითარებულ მოვლენებზე პასუხიმგებლობა სრულად ხელისუფლებას ეკისრება.

მმართველი ძალის საჯაროდ გაჟღერებული ბოლოდროინდელი განცხადებები საზოგადოების მოთხოვნებისგან მის სრულ დისტანცირებას და, მეტიც, საკითხისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებებს ამჟღავნებს.⁴⁵ პროტესტის ჩასახშობად საპოლიციო ძალების გამოყენება, რაც უკვე ჩვეულ პრაქტიკად დამკვიდრდა, სოციალური წინააღმდეგობის კერების არალეგიტიმურად და მარგინალიზებულად წარმოჩენას ემსახურება მიზნად. ამასთან, საპოლიციო ძალების გამოყენება უკვე იქცა ძალის დემონსტრირების ერთგვარ იარაღად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ამ მეთოდით საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობს. ეს კი ჩანასახშივე ეწინააღმდეგება დემოკრატიული და სოლიდარული პოლიტიკური პროცესების განვითარების მიზნებს. ნაცვლად ურთიერთთანამშრომლობისა და დიალოგისა, მმართველი ძალა ცდილობს საკუთარი „უპირატესობა“ მის ხელთ არსებულ პოლიციურ ბერკეტებზე დააფუძნოს. პოლიტიკური პროცესების ამ ფორმით განვითარება, საბოლოოდ, მუდმივი სოციალური უთანხმოებების, დაპირისპირებებისა და კრიზისების წინაპირობა ხდება.

⁴⁴ <https://www.facebook.com/radiotavisupleba/videos/2478974519045847/>

⁴⁵ იხ.: მაგალითად, კახა კალაძის განცხადება: <https://netgazeti.ge/news/408779/?fbclid=IwAR2cnTkhmVc5m-k79JoIVzdtZLdlLMMfcPsAY3zrGnt44DN0O4RYEUnG VHA>

26 ნოემბრის მოვლენებმა აჩვენა, რომ დემონსტრანტების მოქმედებები იყო აშკარად მშვიდობიანი და მიზნად არ ისახავდა პროცესების ძალადობრივ ფორმებში გარდასახვას. პროტესტის ფორმად საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელების მშვიდობიანი პიკეტირებაც, შეკრების უფლებით დაცულ სფეროში ექცევა.

ამ ფონზე, სახელმწიფოს მოქმედებებში სერიოზული დარღვევები შეინიშნება. პირველი, საჯარო პოზიციონირებისას აშკარა იყო, რომ ხელისუფლებისა და სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები ვიწროდ განმარტავდნენ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონს და ზოგადად შეკრების უფლებას. არგუმენტი, რომ „პიკეტირების ფაქტი“ უკვე არის მომიტინგეების მიმართ ძალის გამოყენებისა და დაშლის წინაპირობა, შეკრების უფლების იმდენად შეზღუდულ განმარტებას წარმოადგენს, რომ რიგ შემთხვევებში საერთოდ აუფასურებს უფლების რეალურ შინაარსს. ასეთი მიდგომების ნაცვლად, ხელისუფლებას უნდა გაეანალიზებინა ის საპირწონე ინტერესები, რომლებიც, ერთი მხრივ, დემონსტრანტების მიერ საკუთარი აზრის მშვიდობიანი ფორმით დაფიქსირებას ეხება, მეორე მხრივ კი, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირების მიზანს მიემართება. ამ შემთხვევაში, ცხადი იქნებოდა, რომ გონივრული სტრატეგიისა და მოქმედების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ორივე ამ ინტერესის დაცვა და გათვალისწინება.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მიდგომები და საჯარო პოზიციონირება აშკარად არასწორი ლოგიკით ვითარდებოდა, მან უფრო მწვავე ფორმები უშუალოდ დემონსტრანტების მიმართ ძალის გამოყენებისას მიიღო. აქ ორი გარემოებაა გამოსაყოფი: პირველი, სპეციალური დანიშნულების რაზმის არაპროპორციული მობილიზაცია და, მეორე, უშუალოდ ძალის გამოყენების არაპროპორციულობა.

როგორც ითქვა სამართალდამცავი უწყებების მასობრივი მობილიზაცია მხოლოდ იმის განცდას აჩენდა, რომ სახელმწიფოს სურდა საკუთარი პოლიციური ბერკეტების დემონსტრირება და ამ გზით, პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება. აღნიშნული სახით ძალის დემონსტრირებას მხოლოდ მსუსხავი ეფექტი აქვს და ემსახურება საზოგადოებაში ერთგვარი შიშის დანერგვას და ცდილობს ამ გზით ჩაახშოს საპროტესტო მუხტი.⁴⁶

მეორე საკითხი სამართალდამცავი უწყების მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობას უკავშირდება. სახელმწიფომ არ სცადა ალტერნატიული, უფლებაში ჩარევის ნაკლებად მზღლდავი გზების ძიება, მის მიერ გაცხადებული მიზნის (საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირების აღდგენა) სისრულეში მოსაყვანად. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს ემოქმედა პარლამენტის რომელიმე ერთი შესასვლელის გათავისუფლების სტრატეგიით, ეცადა კორდონის გაკეთება იმ დროს, როცა პარლამენტის ფუნქციონირების რეალური ინტერესი იარსებებდა (და არა 4-5 საათით ადრე) და არ გამოეყენებინა უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის მექანიზმი, სამართალდამცავი უწყებების სტრატეგია მდგომარეობდა მაქსიმალურად სწრაფად, უფლებაში არაპროპორციული ჩარევის რისკების გაუთვალისწინებლად, აქციის მონაწილეების დაშლაში.

არაპროპორციული ძალის გამოყენებას კიდევ უფრო მეტად ცხადყოფს, შეკრების ხასიათის, არსებული კონტექსტის და დროის გათვალისწინებით, წყლის ჭავლის იმგვარი გამოყენების ფაქტები, რომელიც

⁴⁶ Nurettin Aldemir and Others v. Turkey, § 34; Balçık and Others v. Turkey, § 41; The United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria, § 135; Nemtsov v. Russia, §§ 77-78

არსებითად ეწინააღმდეგება, მასობრივი საპოლიციო საშუალებების გამოყენებისთვის დადგენილ ძირითად საერთაშორისო სტანდერტებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, EMC მიიჩნევს, რომ 26 ნოემბრის დილას განვითარებული მოვლენებისას, კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა სამართალდამცავი სისტემის მოქმედებებისა და სტრატეგიების სისტემური ხარვეზები, რაც, საბოლოოდ, დემონსტრანტების მიმართ მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვისა და მათ წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენების წინაპირობა გახდა.

EMC მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური კრიზისი და მისი მართვისთვის არჩეული დემონსტრაციული საპოლიციო კონტროლის სტრატეგია საზოგადოების წუხილებისგან ხელისუფლების გათიშულობის, დემოკრატიულ ჩართულობასა და სოლიდარობაზე დაფუძნებული პოლიტიკების არარსებობის, მმართველი ძალის მიერ ვიწროპარტიული ინტერესებით მოქმედების და სოციალური კრიზისების მშვიდობიანი, დიალოგზე დაფუძნებული მიდგომების არარსებობას უკავშირდება.

EMC მოუწოდებს მმართველ გუნდს, გამოეხატოს რესურსი, პროცესების დიალოგის რეჟიმში გადაყვანისთვის. მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ განუხრელად და ზედმიწევნით დაიცვას აქციის მონაწილეთა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება; კანონმდებლობა განმარტოს შეკრების თავისუფლებასა და საჯარო ინტერესს შორის ბალანსის მიღწევისა და მათი თანადროული დაცვის მიზნებიდან გამომდინარე; ასევე, უარი თქვას ძალის დემონსტრირებისა და შეკრების თავისუფლებაში არაპროპორციული ჩარევის ბოლოდროინდელ სტრატეგიაზე და მისი რესურსი პროცესების ნორმალიზებისკენ მიმართოს.